June 2022 (№22)
Volume 8; Issue 2; Page No. 184-198
ISSN: 2346-7916 (Print)
ISSN: 2587-5043 (Online)

INTERNATIONAL JOURNAL OF LAW: "LAW AND WORLD" www.lawandworld.ge

https://doi.org/10.36475/8.2.14
Licensed under: CC BY-SA

Purpose and Peculiarities of the Palermo Convention in the Context of Georgia

Ekaterine Laghidze
PHD student at Caucasus International University, Special Officer of the State Security Service of Georgia

ARTICLE INFO

Article History:

Received 10.06.2022
Accepted 24.06.2022
Published 30.06.2022

Keywords:

Palermo Convention,
organization crime,
Organized crime group

ABSTRACT

Transnational organized crime and the fight against it is a significant challenge for our country. Palermo Convention The same United Nations Convention against Transnational Organized Crime was adopted by the UN General Assembly on 15 November 2000 with the aim of promoting cooperation in the fight against transnational organized crime.

The article examines in depth Article 5 of the Palermo Convention, which calls on member states to directly criminalize participation in organized crime groups. In accordance with this requirement, a number of important changes have been made in the Georgian legislative space. These include the Criminal Code of Georgia, the Law of Georgia on Organized Crime and Racketeering, as well as the Criminal Procedure Code, the Civil Procedure Code of Georgia and other legal acts.

The article discusses and evaluates the results of the work of each of the above legal documents, both on a theoretical and practical level. The National Strategy for Combating Organized Crime of Georgia has been evaluated and discussed. Judicial practice has also been studied, which ultimately allows for important conclusions to be drawn.

At the end of the paper we will talk about the challenges of Georgia in terms of combating organized crime, the main directions, problems and shortcomings in the fight against organized crime.

დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობის კრიმინალიზაცია პალერმოს კონვეციის მიხედვით

ეკატერინე ლაღიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური მოხელე

საკვანძო სიტყვები: პალერმოს კონვენცია, ორგანიზებული დანაშაული, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი

აბსტრაქტი

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულები და მასთან ბრძოლა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. პალერმოს კონვენცია (იგივე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია) ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიღებულ იქნა 2000 წლის 15 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ. კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს თანამშრომლობას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სტატიაში სიღრმისეულად არის შესწავლილი პალერმოს კონვენციის მე-5 მუხლი, რომელიც უშუალოდ დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებში მონაწილეობის კრიმინალიზებას ითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან. აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. მათ შორისაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სხვა სამართლებრივი აქტები.

სტატიაში განხილული და შეფასებულია თითოეული ზემოაღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტების მუშაობის შედეგი როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე. შეფასებული და განხილულია საქართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია, ასევე, შესწავლილია სასამართლო პრაქტიკაც, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

ნაშრომის დასასრულს საუბარია საქართველოს გამოწვევებზე ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად მიმართულებებზე, პრობლემებსა და ხარვეზებზე.

შესავალი

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულები და მასთან ბრძოლა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში – ორგანიზებული დანაშაულის ბრძოლის წინააღმდეგ გაეროს კონვენციაა.[1]

როგორც აღვნიშნეთ, პალერმოს კონვენცია ორგანიზებული დანაშაულის წინაღმდეგ ბრძოლის სფეროში მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოდგენს. იგი საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით უნიკალური და გლობალური მნიშვნელობის კონვენციაა, მოიცავს რეკეტისა და ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებსა და სხვადასხვა დანაშაულების კრიმინალიზებას ემსახურება.

დღესდღეობით, ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალობას არ კარგავს ისეთ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, როგორიცაა „ქურდული სამყაროს" წევრობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსში არაერთი ცვლილება შევიდა. ცვლილებები შევიდა „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონშიც". ახალი მუხლების ჩამოყალიბების მიზანია, აღკვეთოს ზემოხსენებული დანაშული და გამოავლინოს ორგანიზებული დანაშაულის ჩამდენი სუბიექტები და, მათ შორის, „კანონიერ ქურდები" და მათთან კავშირში მყოფი პირები.

საკვლევი თემის მიზანია პალერმოს კონვენციისა და პალერმოს კონვენციის თავისებურებების შესწავლა საქართველოს ჭრილში, რისთვისაც აუცილებელია შეფასდეს ქვეყანაში არსებული ვითარება ორგანიზებული დანაშულების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

კვლევის საგანია ქვეყნის შიდა სამართლებრივი აქტების შესწავლა, რომელთა ჩამოყალიბებაზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პალერმოს კონვენციამ.

კვლევის ობიექტია პალერმო კონვენციის მე-5 მუხლი, რომელიც ახდენს დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებში მონაწილეობის კრიმინალიზაციას, ასევე, პალერმოს კონვენციის იმპლემენტაციის შედეგები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და თუ სხვა ქვეყნის შიდა სამართლებრივ აქტებში.

დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებში მონაწილეობის კრიმინალიზაცია და პალერმოს კონვენცია

პალერმოს კონვენცია იგივე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიღებულ იქნა 2000 წლის 15 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 55/25 რეზოლუციის საფუძველზე. კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს თანამშრომლობას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის უფრო ეფექტიანად თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.[2]

პალერმოს კონვენცია, საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით, უნიკალური და გლობალური მნიშვნელობის სამართლებრივი დოკუმენტია. ის მოიცავს რეკეტისა და ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებს და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა დანაშაულების კრიმინალიზებას ემსახურება.

პალერმოს კონვენციის მიზანი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი თავიდან აცილებაა, შესაბამისად, იგი გამოიყენება, რათა გამოძიებულ იქნას და სისხლისსამართლებრივ დევნას დაექვემდებაროს დანაშაულები, რომლებიც დადგენილია კონვენციის მე-5 (დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა), მე-6 (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია), მე-8 (კორუფცია) და 23-ე (მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლა) მუხლებით, ასევე, მძიმე დანაშაულები, თუ ეს დანაშაული ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს და ჩადენილია დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით.[3]

პალერმოს კონვენციის მე-5 მუხლი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს –

1 შემდგომში პალერმოს კონვენცია. კონვენციის ტექსტი იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

2 შემდგომში პალერმოს კონვენცია. კონვენციის ტექსტი იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

3 იქვე.

დასჯადად გამოაცხადოს განზრახ ჩადენილი ერთი ან რამდენიმე პირის შეთანხმება მძიმე დანაშაულის ჩასადენად, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით.[4] მოცემული მუხლის დათქმის მიხედვით, აუცილებელია ერთი ან რამდენიმე პირის შეთანხმება დანაშაულის ჩასადენად, იმის გათვალისწინებით, რომ ჩაიდენენ მძიმე დანაშაულს, ხოლო ამ დანაშაულის მიზანი უნდა იყოს ფინანსური სარგებლის მიღება ან სხვა მატერიალური ბენეფიტი.

მეხუთე მუხლის მეორე დათქმის მიხედვით, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან სისხლის სამართლის დანაშაულად გამოაცხადოს ქმედება ჩადენილი პირის მიერ, რომელიც აცნობიერებს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანს და იცის მისი საერთო დანაშაულებრივი საქმიანობის, ან ამ ჯგუფები მიერ აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენის განზრახვის შესახებ, აქტიურ მონაწილეობას იღებს ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობაში, აცნობიერებს, რომ მისი მონაწილეობა ხელს უწყობს დანაშაულებრივი მიზნის მიღწევას.[5]

მოცემული მუხლის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია, რომ პირი აქტიურ მონაწილოებას იღებდეს ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობაში. აუცილებელია განიმარტოს აქტიური მოქმედება, ვინაიდან, შესაძლოა პირი ჩართული იყოს ორგანიზებული ჯგუფის საქმიანობაში და თავისი პასიური მოქმედებით უწყობდეს ხელს ამგვარი ჯგუფის საქმიანობას. იმისათვის, რომ პირს ბრალად შეერაცხოს ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა, აუცილებელია მან იცოდეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიზანი და საქმიანობა, ან გააჩნდეს განზრახვა ჩაიდინოს აღნიშნული დანაშაული.

საინტერესოა, რა იგულისხმება ორგანიზებული ჯგუფის „სხვა საქმიანობაში" და აღიქმება თუ არა ორგანიზებულ ჯგუფთან კავშირში მყოფი ყველა პირი ამ დანაშაულის სუბიექტად. ამ შემთხვევაში აუცილებელია, პირმა იცოდეს, რომ მისი ქმედება ემსახურება დანაშაულებრივი მიზნის მიღწევას. აღნიშნული დათქმით კანონშემოქმედმა ყველა ზომა მიიღო ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან კავშირში მყოფი პირების გამოსავლენად და მათი ქმედების აღსაკვეთად, ისევე როგორც დასჯადია ორგანიზებული ჯგუფის მიერ მძიმე დანაშაულის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, წაქეზება, დახმარება ან რჩევის მიცემა. აღნიშნული ჩანაწერის მსგავს ჩანაწერს ვხვდებით 1988 წლის ვენის კონვენციაში.[6]

ხელმძღვანელობა, წაქეზება, დახმარება ან რჩევის მიცემა არის აქტივობის ის ფორმები, რომლითაც შესაძლოა პირი ჩაერთოს ორგანიზებული ჯგუფის საქმიანობაში. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ პირი სხვა ქმედებით ჩაერთვება ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობაში, მაგალითად, საქვეყნოდ დაუჭერს მხარს „კანონიერ ქურდებს" ან მიმართავს მათ დასახმარებლად ისევე, როგორც აღნიშნული ქმედებები კრიმინალიზებულია ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში.[7] პალერმოს კონვენციის 34-ე მუხლის მესამე ნაწილი თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს აძლევს უფლებას მიიღოს უფრო მკაცრი ზომები ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშულის თავიდან ასაცილებლად,[8] სწორედ ამის დადასტურებაა ზემოთ აღნიშნული მაგალითი.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულის და რეკეტის შესახებ

მნიშვნელოვანია ვნახოთ, როგორ განხორციელდა პალერმოს კონვენციის მე-5 მუხლის იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებ-

4 იქვე.

5 პალერმოს კონვენცია, კონვენციის ტექსტი იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

6 McMclean, D., (2007). Transnational Organaized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols. Oxford Universitu Press, 1 st, p. 65.

7 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

8 პალერმოს კონვენცია, იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

ლობაში და რა ხარვეზები არსებობს დღეს კანონმდებლობაში, ასევე, მნიშვნელოვანია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის განხილვა, სამომავლო მიზნების და ამოცანების ანალიზი.

პალერმოს კონვენციასთან მიერთების შემდგომ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით, კერძოდ, მიღებულ იქნა კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ". კანონის მიზანია ხელი შეუწყოს ორგანიზებული დანაშაულის, „ქურდული სამყაროს" და რეკეტის წინააააღმდეგ ბრძოლას და მათ თავიდან აცილებას. კანონში მოცემულია რეკეტის, რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, „ქურდული სამყაროს", „ქურდული სამყაროს წევრის", „კანონიერი ქურდის", რეკეტული ქონების, „ქურდულის სამყაროს წევრის ქონების" განმარტებები. თითქოს, ჩამოთვლილი ტერმინების განმარტებით, უნდა აღმოფხვრილიყო ის ბუნდოვანება, რაც ამ ტერმინების ირგვლივ არსებობდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ასე არ მოხდა. კანონში „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" „ქურდული სამყარო" განმარტებულია, როგორც პირთა ერთობა, რომელიც შეთანხმებულია, რომ განახორციელებს „ქურდული სამყაროს" საქმიანობას.[9] ამის შემდეგ ზუსტდება ტერმინი „ქურდული სამყაროს" საქმიანობა და განიმარტება, როგორც „ქურდული სამყაროს წევრის", „კანონიერი ქურდის" საქმიანობა, განხორციელებული დაშინებით, მუქარით, იძულებით, და აშ.[10] რაც შეხება „კანონიერი ქურდის" განმარტებას, ის არის პირი, რომელიც ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს „ქურდული სამყაროს", „ქურდული სამყაროს" საქმიანობის მეთოდების გამოყენებით ან ორგანიზებას უწევს პირთა გარკვეულ ჯგუფს.[11] მოცემულ ტერმინებში ძირითადად გამოყენებულია ორი ტერმინი: „ქურდული სამყარო" და „კანონიერი ქურდი", რაც იწვევს გაურკვევლობას და შეუძლებელს ხდის მის ზუსტ გაგებას.

ვფიქრობ, თავიდანვე არასწორი იყო კანონში „კანონიერი ქურდის" ჩანაწერის არსებობა. შესაძლებელია, მის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს სხვა ტერმინი, მაგალითად, „დანაშაულებრივი გაერთიანების ხელმძღვანელი", რომლის დეფინიციაც შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ეს არის დანაშაულებრივი გაერთიანების ორგანიზატორი/ხელმძღვანელი პირი, რომელიც მართავს/ორგანიზებას უწევს დანაშაულებრივი გაერთიანების წევრებს.

„ქურდული სამყარო" კი შეიძლება განიმარტოს, როგორც „პირთა გაერთიანება, რომელიც შეთანხმებულია დანაშაულებრივი საქმიანობის ჩასადენად, რომელიც იმართება მკაცრად დადგენილი წესებით და პირობებით, ხოლო მის ნაცვლად გამოყენებული იქნეს ტერმინი „დანაშაულებრივი გაერთიანება". რაც შეეხება ამგვარი დაჯგუფების საქმიანობას, ის ვრცელი უნდა იყოს და მოიცავდეს იმ ძირითად ნიშნებს, რაც „ქურდული სამყაროს" ძირითად მიზნებსა და თავისებურებებს გამოხატავს. შესაბამისად, დანაშაულებრივი გაერთიანების საქმიანობა შესაძლოა განიმარტოს შემდეგნაირად: „დანაშაულებრივი გაერთიანების მიერ განხორციელებული ქმედება, ჩადენილი დაშინებით, იძულებით, მუქარით, წაქეზებით, გაერთიანების ორგანიზატორის ავტორიტეტით და რომლის მიზანია მატერიალური სარგებლის მიღება, გავლენის/ძალაუფლების მოპოვება.

საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო დონეზე „კანონიერი ქურდი", „ქურდული სამყარო" და სხვა მსგავსი ტერმინების გამოყენება ხელს უწყობს ამ ინსტიტუტის პოპულარიზებას, ხოლო მათი ახლებურად ჩამოყალიბების შემდეგ საკანონმდებლო დონეზე გაქრება ტერმინი „კანონიერი ქურდი", „ქურდული სამყარო" და სხვა, რომელიც საბოლოოდ შეასუსტებს ამ ინსტიტუტის პოპულარობას და დროთა განმავლობაში დაკარგავს აქტუალობას.

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონში განმარტებულ ზემოთ აღნიშულ ტერმინებთან დაკავშირებით, არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წელს მიღებული გადაწყვეტილება „აშლარბა საქართველოს წინა-

9 ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონი, იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4159504?publication=0> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

10 იქვე.

11 იქვე.

აღმდეგ".[12] ევროპულმა სასამართლომ მოცემული საქმის განხილვისას იმსჯელა ისეთ ტერმინებზე, როგორიცაა: „ქურდული სამყარო", „კანონიერი ქურდი", და მიიჩნია, რომ ეს ტერმინები წარმოადგენდა საყოველთაო ცოდნის საგანს და ფართო წრეებში იყო გაგებული, „2005 წლის 20 დეკემბერს ორი ახალი სამართალდარღვევის, კერძოდ „ქურდული სამყაროს" წევრობის და „კანონიერი ქურდობის" შემოტანით, საქართველოს კანონმდებლებმა, უბრალოდ, სისხლის სამართლებრივ ჩარჩოში მოაქციეს ცნებები და ქმედებები, რომლებიც უკავშირდება კრიმინალურ („ქურდების") ქვეკულტურას; ამასთან, ამ ცნებების ზუსტი მნიშვნელობა უკვე ცნობილი იყო ზოგადად საზოგადოებისათვის. საინტერესოა, რომ ქართველმა კანონმდებლებმა გადაწყვიტეს სასაუბრო ენაში დამკვიდრებული ტერმინების შენარჩუნება მოცემული სამართალდარღვევების იურიდიულ განმარტებებში. სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოთ ხსენებული მიდგომა გამოყენებულ იქნა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოებას მარტივად მოეხდინა სისხლის სამართლებრივ ჩარჩოში ახლად მოქცეული დარღვევების აღქმა"[13]. თუ გავყვებით მოცემულ მოსაზრებას, ზემოაღნიშნული ტერმინები არ იწვევს გაუგებრობას, მისი მიზანია იმ სასაუბრო ენის შენარჩუნება, რაც საზოგადოებაში არის დამკვიდრებული.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რაც სსკ-ის კოდექსში შევიდა, ახლებურად ჩამოყალიბდა არაერთი მუხლი. სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, კოდექსს დაემატა 223^1 , 223^2, 223^3 და 223^4 მუხლები, რომლებითაც დასჯადი გახდა „ქურდული სამყაროს" წევრობა, „კანონიერი ქურდობა", ქურდულ შეკრებაში" მონაწილეობა, „ქურდული სამყაროს" საქმიანობის მხარდაჭერა, „ქურდული სამყაროს" წევრისთვის/ „კანონიერი ქურდისთვის" მიმართვა ან ამ მიმართვის შედეგად მატერიალური სარგებლის ან მატერიალური უპირატესობის მიღება.[14]

მოცემული ცვლილებები სწორედ პალერმოს კონვენციის იმპლემენტაციის შედეგია, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვდა – დასჯადად გამოეცხადებინათ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობა.

რაც შეეხება მოცემული მუხლების დისპოზიციებს, სსკ-ის 223^1 მუხლი დასჯადად აცხადებს „ქურდული სამყაროს წევრობას" და „კანონიერ ქურდობას". „ქურდული სამყაროს" წევრობას ადგილი აქვს, როცა პირი აღიარებს „ქურდულ სამყაროს" და იღებს მონაწილეობას მათ საქმიანობაში, ან გამოხატავს მზადყოფნას ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.[15] მონაწილეობა „ქურდული სამყაროს" საქმიანობაში შესაძლოა გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის: დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობით, არასრულწლოვნის ჩაბმით, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებით, დანაშაულის ჩადენით, კრიმინალური გავლენების გამოყენებით ან სხვა უკანონო ქმედებით.[16] თითოეული მათგანის სამართლებრივ განმარტებას არ შევუდგებით, მხოლოდ რამდენიმე მათგანზე ვისაუბრებ, კერძოდ პირის მიერ ქურდული სამყაროს აღიარება ნიშნავს, როცა პირი აღიარებს „ქურდულ სამყაროს" და „ქურდული სამყაროც" აღიარებს მას, როგორც „ქურდული სამყაროს" წევრს, თუ ორივე პირობა არ გვაქვს, ქმედება ამ მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება. „ქურდული სამყაროს" წევრობა შესაძლოა გამოიხატოს მაშინაც, თუ პირი ჩაიდენს რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას „ქურდული სამყაროს" მიზნის მისაღწევად.[17] საინტერე-

12 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ", სტრასბურგი, (2014). <https://www.supremecourt.ge/> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

13 იქვე.

14 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=144> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

15 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ., & თოდუა, ნ., (2019). სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I. თბილისი: „მერიდიანი", გვ. 686.

16 იქვე., 685-686.

17 ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონი, იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/

სოა ისეთი შემთხვევა, როცა პირი ჩაიდენს დანაშაულს ქურდული სამყაროს მიზნების მისაღწევად, მაგალითად მუქარას, გამოძალვას და საკმარისია თუ არა ამ შემთხვევაში ქმედების სსკ-ის223[1] მუხლით კვალიფიკაცია სხვა მუხლზე მითითების გარეშე. ჩნდება შეკითხვა რისთვის უნდა დაისაჯოს პირი, ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებისთვის, თუ იმისთვის რომ პირმა დანაშაულის ჩაიდინა „ქურდული სამყაროს" მიზნებისთვის და მხოლოდ ამიტომ უნდა აგოს პასუხი. თუ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ფაქტობრივად ჩადენილი ქმედებისთვის, ასევე, იმისათვის, რომ მან ეს დანაშაულის „ქურდული სამყაროს" მიზნებისთვის ჩაიდინა. რაც შეეხება პირველ შემთხვევას, თუ პირი დაისჯება პირობითად მხოლოდ ძალადობისთვის და არა „ქურდული სამყაროს" წევრობისთვის, ვფიქრობ, ამგვარი დანაშაულის ჩადენა „ქურდული სამყაროს" მიზნებისთვის მომეტებული საფრთხის შემცველია, ვიდრე „უბრალო ძალადობა". მეორე შემთხვევას რაც შეეხება, აქ საუბარია იმაზე, რომ პირი არ დაისაჯოს მხოლოდ „ქურდული სამყაროს" წევრობისთვის, რაც გამორიცხავს მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას, ხოლო მესამე შემთხვევაში გამოდის, რომ პირი ორმაგად აგებს პასუხს ერთი ქმედებისთვის. გამოსავალი ამ შემთხვევაში იურიდიულ ლიტერატურაში მოიძებნება, კერძოდ, სსკ-ის კოდექსის კომენტარებში პრობლემის გადასაწყვეტად განვითარებულია მოსაზრება, რომ თუკი „ქურდული სამყაროს" წევრი ჩაიდენს ისეთ დანაშაულს, რომლისთვისაც სანქცია უფრო მკაცრია, ვიდრე „ქურდული სამყაროს წევრობისთვის", ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, ხოლო თუ ჩადენილი დანაშაულის სანქცია თუ უფრო ნაკლებია ან ტოლია, ვიდრე „ქურდული სამყაროს" წევრობა, მაშინ დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია საჭირო არაა.[18]

მოცემულ საკითხზე არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაც, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც პირისაგან თანხის ან სხვა მატერიალური სიკეთის გამოძალვა ხორციელდება „ქურდული სამყაროს წევრის" მიერ „ქურდულ სამყაროში" მოქმედი წესების გამოყენებით (საქმის გარჩევა და სხვა), ამასთან, გამოძალვა ხორციელდება „ქურდული სამყაროსთვის" სარგებლის მისაღებად, ამგვარი ქმედება გამოძალვად ვერ დაკვალიფიცირდება, რადგან, თავისი შინაარსითა და ნიშნებით, ის სცდება გამოძალვის ფარგლებს და გადაიზრდება სხვა დანაშაულში, როგორიცაა – „ქურდული სამყაროს" წევრობა.[19]

შესაძლებელია პრობლემის გადასაჭრელად სსკ-ში შევიდეს ცვლილება და ისეთ მუხლებს, როგორიცაა ქურდობა, გამოძალვა თაღლითობა და ასე შემდეგ, დამამძიმებელი გარემოების სახით დაემატოს შემდეგი ფრაზა: ჩადენილი „ქურდული სამყაროს" მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, საჭირო აღარ იქნება დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია.

იმისათვის, რომ პირს შეერაცხოს „ქურდულ სამყაროს წევრობა", შესაძლოა პირმა განახორციელოს „სხვა უკანონო ქმედებაა", რომელიც ემსახურება „ქურდული სამყაროს" მიზნების მიღწევას. აქ შესაძლოა, იგულისხმებოდეს ისეთი ქმედება, რომელიც არ წარმოადგენს სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, მაგრამ არის უკანონო და ემსახურება ქურდული სამყაროს მიზნების მიღწევას.

ეს არის ის ძირითადი ქმედებები, რომლითაც შესაძლოა პირს შეერაცხოს „ქურდული სამყაროს" წევრობა, ხოლო, რაც შეეხება პირის პასუხისმგებლობას „კანონიერ ქურდობისთვის", მთავარია, პირი მართავდეს „ქურდულ სამყაროს" ან ასეთ ჯგუფს ან ორგანიზებას უწევდეს მათ საქმიანობას[20].

„ქურდული სამყაროს" ორგანიზება გულისხმობს სპეციალური წესების დადგენას, წევრების გადმობირებას და ა.შ.. ხოლო მართვას რაც შეეხება, აქ იგულისხმება წევრე-

---

view/32704?publication=1> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

18 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ., & თოდუა, ნ., (2019). სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I. თბილისი: „მერიდიანი", გვ. 365.

19 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სისხლის სამართლის საქმეებზე, (2014 წლის მეორე ნახევარი 2016), გვ. 64, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-sisxli.pdf> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

20 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ., & თოდუა, ნ., (2019). სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I. თბილისი: მერიდიანი, გვ. 688.

ბისთვის დავალებების მიცემა.[21] აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით არსებობს სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის გადაწყვეტილება, სადაც მომჩივანს წარმოადგენდა პროკურორი. მოცემულ საქმეში პირს ბრალად ედებოდა „კანონიერი ქურდობა“, ბრალდების ფორმულირება კი იყო შემდეგი: ბრალდებული ცნობდა და აღიარებდა „ქურდულ სამყაროს“, ეთანხმებოდა მის მიზნებს, თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავდა ქურდული სამყაროს მხარდაჭერას. მას ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ქურდული სამყაროს წევრებთან და დაკავებისას აღნიშნა, რომ ის იყო კანონიერი ქურდი[22].

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი საზოგადოებაში კანონიერი ქურდის სახელითაა ცნობილი, არაა საკმარისი სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით ბრალდებისათვის, ამისათვის აუცილებელია, დაუმტკიცდეს, რომ ის მართავდა/ორგანიზებას უწევდა „ქურდულ სამყაროს“ ან პირთა გარკვეულ ჯგუფს სწორედ „ქურდული სამყაროს“ სპეციალური წესების შესაბამისად.[23] მოცემული მუხლის დისპოზიცია ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს პირი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ იმისთვის, რომ ის საზოგადოებაში ცნობილია, როგორც კანონიერი ქურდი. მსგავს მოსაზრებას ავითარებს სააპელაციო სასამართლოც: „დანაშაულის შემადგენლობაში, რაც არ უნდა ზოგადი ფორმულირება ჰქონდეს მას, იგულისხმება კონკრეტული ქმედება, ვინაიდან დანაშაული არის სწორედ ქმედება და არა წარმოდგენები, შეხედულებები, მისწრაფებები და ა.შ. „კანონიერი ქურდობაც“ გულისხმობს კონკრეტულ ქმედებას და მის გარეშე ის დანაშაულის შემადგენლობას ვერ შექმნის“.[24]

შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ ქმედების სსკ-ის 223[1]-ე მუხლის კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, პირი ახორციელებდეს აქტიურ მოქმედებას, მართავდეს ან ორგანიზებას უწევდეს ქურდული სამყაროს საქმიანობას. მხოლოდ იმის აღიარება ან მტკიცება, რომ პირი ცნობილია როგორც „კანონიერი ქურდი“, საკმარისი არ არის 223[1] მუხლით მსჯავდებისთვის.

რაც შეეხება სსკ-ის მომდევნო მუხლებს, რომლებიც ემსახურება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას იმ პირებისთვის, რომლებიც არ არიან „ქურდული სამყაროს წევრები/კანონიერი ქურდები“, მაგრამ მონაწილეობას იღებენ „ქურდულ გარჩევაში“ (სსკ-ის223[2]), მხარს უჭერენ „ქურდული სამყაროს“ საქმიანობას (სსკ-ის 223[3]) ან მიმართვას „ქურდული სამყაროს წვერ/კანონიერ ქურდს“ მატერიალური სარგებლისთვის. მოცემული ქმედებების დანაშაულებრივ ქმედებად გამოცხადების მიზანია, აღკვეთოს „კანონიერი ქურდებთან/ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი პირების ნებისმიერი ქმედება.

აღსანიშნავია სსკ-ში განხორციელებული ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგი. საყურადღებოა სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ბოლო წლებში გაიზარდა სისხლისამართლებრივი დევნის მაჩვენებელი სსკ-ის 223[1]-ე, 223[2]-ე 223[3]-ე და 223[4]-ე მუხლებით, კერძოდ, 2019 წელს ქურდულს სამყაროსთან კავშირში მყოფი პირებისა და კანონიერი ქურდობის ბრალდებით 47 პირის მიმართ დაიწყო დევნა, მომდევნო წელს ეს მაჩვენებელი 58-მდე გაიზარდა, ხოლო 2021 წელს ეს რიცხვი თითქმის გაორმაგდა და 111 შეადგინა; 2022 წლის მარტის ჩათვლით ზემოაღნიშნული მუხლებით მხოლოდ 5 პირის მიმართ დაიწყო სისხლისამართლებრივი დევნა.[25]

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და ქვეყნის შიდა სამართლებრივი ინსტრუმენტები

სისხლის სამართლის კოდექსის გარდა ცვლილებები განხორციელდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. კოდექსს დაემატა

21 იქვე.

22 თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №1/ბ-128-17, 2017, <http://library.court.ge/judgements/69892017-10-27.pdf> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

23 იქვე.

24 იქვე.

25 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში. (2019-2022). <www.geostat.ge> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/679/siskhlis-samartlis-statistikis-ertiani-angarishi> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

ცალკე თავი, რომელიც ითვალისწინებს „ქურდული სამყაროს“ წევრისა და რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან მათთან დაკავშირებული პირის საკუთრებაში არსებული უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სამოქალაქო წესით ჩამორთმევასა და ასეთი ქონების კანონიერი მესაკუთრისთვის ან სახელმწიფოსთვის გადაცემას.[26]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაც რეგულირდება ქონების ჩამორთმევა, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მესამე ნაწილი შესაძლებლობას ქმნის ბრალდებულის მიმართ განხორციელდეს სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად,[27] მაგრამ აღნიშნული მუხლი, ასევე, შესაძლებლობას იძლეოდა, რომ ყადაღა დადებოდა ისეთ ქონებასაც, რომლის მიმართაც ჩადენილია დანაშაული. უკანასკნელი ჩანაწერი საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია და 2022 წლის ოქტომბრიდან ძალადაკარგულად გამოაცხადა.[28]

ბუნებრივია გაჩნდება შეკითხვა, რა განსხვავებაა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებს შორის, რომლებიც ემსახურება „ქურდული/სამყაროს, კანონიერი ქურდის“, რეკეტირის, ქონების ჩამორთმევასა და ყადაღას. პირველ რიგში, აღსანიშნავია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[2]-ე მუხლი, რომლის მიხედვით, რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს (მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის ვადაში).[29] როგორც მუხლის დისპოზიციიდან ირკვევა, იმისათვის, რომ ქონება ჩამოერთვას პირს, აუცილებლია მის მიმართ არსებობდეს გამამტყუნებელი განაჩენი. ასევე, როცა საქმე ეხება რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, თანამდებობის პირის, „ქურდული სამყაროს“ წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის ან რეკეტირთან, თანამდებობის პირთან, „ქურდული სამყაროს“ წევრთან, ადამიანით მოვაჭრესთან, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობთან ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებულ ქონებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[4]-ე მუხლის საფუძველზე, პროკურორი ვალდებულია მიმართოს სასამართლოს ქონების დაყადაღების მოთხოვნით.[30] რაც შეეხება სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მიხედვით, ყადაღა შეიძლება დაედოს ბრალდებულის ქონებასაც და არა მხოლოდ ბრალდებულის, ასევე, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს.[31]

---

26 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

27 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=144> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

28 იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=4905> [ბოლო წვდომა: 10 ივნისი, 2022].

29 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> [ბოლო წვდომა: 7 ივნისი, 2022].

30 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი,იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702> [ბოლო წვდომა: 7 ივნისი, 2022].

31 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იხ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, <https://matsne.gov.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები მეტად მკაცრია და ემსახურება „ქურდული სამყაროს“ წევრისა და რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან მათთან დაკავშირებული პირის საკუთრებაში არსებული უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების წესით ჩამორთმევასა/დაყადაღებას და ასეთი ქონების კანონიერი მესაკუთრისთვის ან სახელმწიფოსთვის გადაცემას.

ორგანიზებული დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის გამოწვევაა. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებაა.

2021-2024 წლის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია ემყარება შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- „კანონიერი ქურდებისა“ და „ქურდული სამყაროს“ წევრების (მათ მხარდამჭერთა) წინააღმდეგ ბრძოლის სისტემური გაძლიერება;
- კიბერდანაშაულის პრევენციული მექანიზმებისა და გამოძიების ეფექტიანობის ამაღლება/გაუმჯობესება;
- ნარკოტრანზიტის და ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა.[32]

აღსანიშნავია ისიც, რომ წინა სტრატეგიით გათვალისწინებული მიმართულებები, სწორედ „კანონიერი ქურდების“, კიბერდანაშაულისა და ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლა იყო.[33] აღნიშნული კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ორგანიზებული დანაშაულის მასშტაბებს და საშიშროებას. სტრატეგიის მიხედვით, საქართველოს ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრულია ორგანიზებული დანაშაულის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ძალისხმევის გაგრძელება.[34]

გამოწვევაა ქვეყნისთვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც პალერმოს კონვენციით პირდაპირაა გათვალისწინებული. 2020 წელს, ნარკოვაჭრობის შედეგად მიღებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ, ხოლო ჩამორთმევას დაექვემდებარა 854 848 ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება.[35] მნიშვნელოვანია მიღწეული შედეგების განმტკიცება და სტრატეგიით გათვალისწინებული მიმართულებების ზედმიწევნით შესრულება.

საქართველო განაგრძობს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას. დღესდღეობით საქართველოსთვის გამოწვევას წარმოადგენს ისეთი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, როგორიცაა: „ქურდული სამყარო“, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ადამიანებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი და კიბერდანაშაული.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, პალერმოს კონვენციის იმპლემენტაციის შედეგად, რიგი ცვლილებები განხორციელდა ქართულ კანონმდებლობაში. შეცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა არაერთი მუხლი. მიუხედავად ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მსგავსი მასშტაბებისა, ქვეყნისთვის ისევ გამოწვევად რჩება „კანონიერი ქურდების“/“ქურდული სა-

ge/ka/document/view/90034> [ბოლო წვდომა: 7 ივნისი, 2022].

32 ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია, იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, გვ. 4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0> [ბოლო წვდომა: 7 ივნისი, 2022].

33 ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია. იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, გვ. 7. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3660371?publication=0> [ბოლო წვდომა: 7 ივნისი, 2022].

34 ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია, გვ. 4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0> [ბოლო წვდომა: 7 ივნისი, 2022].

35 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის ანგარიში, (2020), გვ. 46. <https://pog.gov.ge/> [ბოლო წვდომა: 7 ივნისი, 2022].

მყაროს“ წინაღმდეგ ბრძოლა. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებაა „კანონიერი ქურდებისა“ და „ქურდული სამყაროს“ წევრების (მათ მხარდამჭერთა) წინააღმდეგ ბრძოლის სისტემური გაძლიერება.[36]

გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, მნიშვნელოვანია რიგი სოციალური ღონისძიებები და პროექტები, რომლებიც მოემსახურება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას იმის შესახებ, თუ რა საფრთხეებს შეიცავს ორგანიზებული დანაშაული. ასევე, მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების არსებობა, მეტი წამახალისებელი ნორმის არსებობა კანონმდებლობაში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, ვინაიდან ორგანიზებული დანაშაული ცოცხალი ორგანიზმია და მისი ჩადენის ხერხები ხშირად იცვლება. სწორედ ამიტომ, აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობა წინ უსწრებდეს და მეტად პროგრესული იყოს, ვიდრე ამ დანაშაულების შესაძლო გამოვლინება.

36 ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია, იხ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, გვ. 4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0> [ბოლო წვდომა: 7 ივნისი, 2022].

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ., & თოდუა, ნ., (2019). სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I, თბილისი: „მერიდიანი“;
2. მესხიშვილი, დ., (2012). ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში. თბილისი;
3. ნაჭყებია, გ., გორაშვილი, გ., მამულაშვილი, გ., თოდუა, ნ., გოგშელიძე, რ., სულაქველიძე, დ., & დვალიძე, ი., (2012_. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი: შოთა რუსთაველის ფონდი;
4. საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის ანგარიში, 2020, <https://pog.gov.ge/>;
5. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების სტრატეგიის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში; <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3660371?publication=0>;
6. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3660371?publication=0>;
7. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2011-2024 წლების ეროვ-

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Lekveishvili, M., Mamulashvili, G., & Todua, N., (2019). Private Part of Criminal Law Book I, Tbilisi: Meridian; (In Georgian)
2. Meskhishvili, D., (2012). Criminological and criminal characterization of organized crime in Georgia. Tbilisi; (In Georgian)
3. Nachkebia, G., Gorashvili, G., Mamulashvili, G., Todua, N., Gogshelidze, R., Sulakvelidze, D., & Dvalidze, I., (2012_. Problems of criminalization and modernization of modern manifestations of organized crime Georgian In Criminal Law, Tbilisi: Shota Rustaveli Foundation; (In Georgian)
4. 2020 Report of the General Prosecutor's Office of Georgia, (2020). <https://pog.gov.ge/>
5. Organized Crime Strategy 2017-2020, Monitoring Report on the Implementation of the Action Plan for the Fight against Organized Crime 2017-2018; <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3660371?publication=0> (In Georgian)
6. National Strategy for Combating Organized Crime 2017-2020. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3660371?publication=0> (In Georgian)
7. National Strategy for Combating Organized Crime 2011-2024. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0> (In Georgian)

ნული სტრატეგია. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0>.

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, (1999). <https://matsne.gov.ge/> , <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>;
2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, (2009). <https://matsne.gov.ge/>, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=145>
3. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, (1997). <https://matsne.gov.ge/>, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149>;
4. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონი“, (2004). <https://matsne.gov.ge/>, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32704?publication=1>
5. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. „გაეროს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“, (2000). <https://matsne.gov.ge> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0>.

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. Council of Europe, (2022). „Crime Analysis: Organised crime – Best practice survey“. no. 4. Strasbourg, France; <https://www.coe.int/t/dg1/legalcooperation/economiccrime/organisedcrime/BestPractice4E.pdf>
2. Geoffrey, Y., (2008). Global Human Trafficking and the UN Convention against Transnational Organised Crime, University College London Human Rights Review;
3. Channing, M., (2017). „Transnational Crime and the Developing World“, Global Financial Integrity; <https://gfintegrity.org/report/transnational-crime-and-the-developing-world/>
4. United Nations Office on Drugs and Crime – Division for Treaty Affairs. (UNITED NATIONS New York, 2004). „Legislative guides for the implementation og the united nations conventions against transnational organized crime and the protocols thereto“; <https://www.unodc.org/pdf/crime/legislative_guides/Legislative%20guides_Full%20version.pdf>
5. McClean, D., (2007). Transnational Organaized Crime: A Commentary on the UN Conversetion and its Protocols, Oxford University Press, 1 st. <10.1093/law/9780199217724.001.0001>

Normative Acts:

1. Legislative Herald of Georgia. Criminal Code of Georgia, (1999). <https://matsne.gov.ge/>, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426> (In Georgian)
2. Legislative Herald of Georgia. "Criminal Procedure Code of Georgia", (2009). <https://matsne.gov.ge/>, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=145> (In Georgian)
3. Legislative Herald of Georgia. "Civil Procedure Code of Georgia", (1997) <https://matsne.gov.ge/>, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149> (In Georgian)
4. Legislative Herald of Georgia. Law of Georgia on Organized Crime and Racketeering (2004). <https://matsne.gov.ge/>, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32704?publication=1> (In Georgian)
5. Legislative Herald of Georgia. United Nations Convention against Transnational Organized Crime (2000). <https://matsne.gov.ge>, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0> (In Georgian)

Foreign Literature:

1. Council of Europe, (2022). „Crime Analysis: Organised crime – Best practice survey“. no. 4. Strasbourg, France; <https://www.coe.int/t/dg1/legalcooperation/economiccrime/organisedcrime/BestPractice4E.pdf> (In English)
2. Geoffrey, Y., (2008). Global Human Trafficking and the UN Convention against Transnational Organised Crime, University College London Human Rights Review; (In English)
3. Channing, M., (2017). „Transnational Crime and the Developing World“, Global Financial Integrity; <https://gfintegrity.org/report/transnational-crime-and-the-developing-world/> (In English)
4. United Nations Office on Drugs and Crime – Division for Treaty Affairs. (UNITED NATIONS New York, 2004). „Legislative guides for the implementation og the united nations conventions against transnational organized crime and the protocols thereto“; <https://www.unodc.org/pdf/crime/legislative_guides/Legislative%20guides_Full%20version.pdf> (In English)
5. McClean, D., (2007). Transnational Organaized Crime: A Commentary on the UN Conversetion and its Protocols, Oxford University Press, 1 st. <10.1093/law/9780199217724.001.0001> (In English)

NOTES:

1. Further the Palermo Convention. See the text of the Convention on the official website of the Legislative Herald of Georgia, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286> [Last seen: June 10, 2022].
2. Further the Palermo Convention. See the text of the Convention on the official website of the Legislative Herald of Georgia, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286> [Last seen: June 10, 2022].
3. Ibid.
4. Ibid.
5. Palermo Convention, text of the Convention, see the official website of the Legislative Herald of Georgia, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286> [Last seen: June 10, 2022].
6. McClean, D., (2007). Transnational Organized Crime a Commentary on the UN Conversetion and its Protocols. Oxford University Press, 1st, p. 65.
7. Criminal Code of Georgia, see the official website of the Legislative Herald of Georgia, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426> [Last seen: June 10, 2022].
8. Palermo Convention, see the official website of the Legislative Herald of Georgia, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286> [Last seen: June 10, 2022].
9. Law of Georgia on Organized Crime and Racketeering, see the official website of the Legislative Herald of Georgia, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4159504?publication=0> [Last seen: June 10, 2022].
10. Ibid.
11. Ibid.
12. Judgment of the European Court of Human Rights, Ashlarba v. Georgia, Strasbourg, (2014). <https://www.supremecourt.ge/> [Last seen: June 10, 2022].
13. Ibid.
14. Code of Criminal Procedure of Georgia, see the official website of the Legislative Herald of Georgia, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=144> [Last seen: June 10, 2022].
15. Lekveishvili, M., Mamulashvili, G., & Todua, N., (2019). Private Part of Criminal Law Book I. Tbilisi: Meridian, p. 686.
16. Ibid., 685 – 686.
17. Law of Georgia on Organized Crime and Racketeering, see the official website of the Legislative Herald of Georgia, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32704?publication=1> [Last seen: June 10, 2022].
18. Lekveishvili, M., Mamulashvili, G., & Todua, N., (2019). Private Part of Criminal Law Book I. Tbilisi: Meridian, p. 365.
19. Homogeneous Practice of the Supreme Court of Georgia in Criminal Cases (Second Half of 2014 2016), p. 64, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-sisxli.pdf> [Last seen: June 10, 2022].
20. Lekveishvili, M., Mamulashvili, G., & Todua, N., (2019). Private Part of Criminal Law Book I. Tbilisi: Meridian, p. 688
21. Ibid.
22. Decision of the Tbilisi Court of Appeals, Case №1 / b-128-17, 2017, <http://library.court.ge/judgements/69892017-10-27.pdf> [Last seen: June 10, 2022] .
23. Ibid.
24. Ibid.
25. National Statistics Office of Georgia. Unified Report on Criminal Statistics. (2019-2022). <www.geostat.ge>; <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/679/siskhlis-samartlis-statistikis-ertiani-angarishi> [Last seen: June 10, 2022].

26. Civil Procedure Code of Georgia, cf. On the official website of the Legislative Herald of Georgia. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117> [Last seen: June 10, 2022].
27. Criminal Procedure Code of Georgia, see on the official website of the Legislative Herald of Georgia. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=144> [Last seen: June 10, 2022].
28. See. Judgment of the Constitutional Court, <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=4905> [Last seen: June 10, 2022].
29. Criminal Procedure Code of Georgia, see on the official website of the Legislative Herald of Georgia. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> [Last seen: June 7, 2022].
30. Code of Civil Procedure of Georgia, see on the official website of the Legislative Herald of Georgia. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702> [Last seen: June 7, 2022].
31. Criminal Procedure Code of Georgia, see on the official website of the Legislative Herald of Georgia, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034> [Last seen: June 7, 2022].
32. National Strategy for Combating Organized Crime 2021-2024, see the official website of the Legislative Herald of Georgia, p. 4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0> [Last seen: June 7, 2022].
33. National Strategy for Combating Organized Crime 2017-2020. See the official website of the Legislative Herald of Georgia, p. 7. < <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3660371?publication=0> [Last seen: June 7, 2022].
34. National Strategy for Combating Organized Crime 2021-2024, p. 4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0> [Last seen: June 7, 2022].
35. 2020 Report of the General Prosecutor's Office of Georgia, (2020), p. 46. <https://pog.gov.ge/> [Last seen: June 7, 2022].
36. National Strategy for Combating Organized Crime 2021-2024, see the official website of the Legislative Herald of Georgia, p. 4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0> [Last seen: June 7, 2022].